

გ. სალუქვაძე, გ. მიქიაშვილი, მ. მილაშვილი

მეთოდური მითითებები

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და ღიზანის
ფაკულტეტის მაგისტრებისათვის

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გ. სალუქვაძე, გ. მიქიაშვილი, მ. მილაშვილი

მეთოდური მითითებები
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და ღიზანის
ფაკულტეტის მაგისტრებისათვის



რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე მეთოდურ სახელმძღვანელოს არქიტექტურის დარგში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელი სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად და გასაფორმებლად. იგი განკუთვნილია სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტების, სამაგისტრო პროგრამებისა და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებისათვის.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის მიმართულებით “მეცნიერებათა მაგისტრის” და “ინჟინერინგის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისა და გაფორმებისათვის საჭირო მთელი რიგი მოთხოვნები. განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა.

ჩამოყალიბებულია სამაგისტრო ნაშრომის ციფრული ვერსიისადმი წაყენებული მოთხოვნები; შემუშავებულია სარეკლამო ბუკლეტის ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა ფაკულტეტზე შესრულებული სამაგისტრო ნამუშევრები გამოცემული იქნეს კატალოგების სახით ან განთავსდეს ინტერნეტის ვებ-გვერდზე. ფორმა საკმაოდ კომპაქტურია და ინფორმაციულად ტევადი;

შემუშავებულია მოთხოვნები სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის მიერ წარმოსადგენი დასკვნის მიმართ და სამაგისტრო ნაშრომის რეზენზენტის სამახსოვრო;

მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის განმარტებითი ბარათის შესრულების ფორმა;

დამუშავებულია ასევე, სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკულ პლანშეტებზე განსათავსებელი შტამპების ფორმები სხვადასხვა აკადემიური მიმართულების მიხედვით.

მოცემულია სხვადასხვა მიმართულებისათვის “ინჟინერინგის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი საკვალიფიკაციო ნაშრომის გრაფიკული ნაწილის შემაღველობა.

ნაშრომი მნიშვნელოვან მეთოდურ დახმარებას გაუწევს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის დარგში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს.

რეცენზენტი სტუ-ს ასოცირებული პროფესორი მ. მაისურაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

ISBN 978-9941-14-328-1

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი

უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის დანიშნულებას განსაზღვრავს საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”:
“მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის” (საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”, თავი I, მუხლი 2, პუნქტები წ).

მაგისტრატურაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, რომლებიც მოიცავენ ძირითად და არჩევით საგნებს (იხ. სამაგისტრო პროგრამები www.gtu.ge –არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - სწავლება-მაგისტრატურის პროგრამები).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე “ მეცნიერების მაგისტრის” ან “ინჟინერინგის მაგისტრის”აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მაგისტრანტმა არჩეული სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად უნდა შეასრულოს სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომი

მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს ჩაატაროს სამეცნიერო, კვლევითი, საპროექტო ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი (იხ. დანართი 1. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #4 მაგისტრატურის შესახებ პუნქტი 7.3)

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დანიშნულ საგამოცდო კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით. ინფორმაცია კომისიის შემადგენლობის, დაცვის პროცედურის, ნაშრომის შეფასების შესახებ იხილეთ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #4 მაგისტრატურის შესახებ , მუხლი 8 და 9 (იხ. დანართი 1).

საგამოცდო კომისიაზე გასვლამდე, არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე, სამაგისტრო ნაშრომმა შესაბამის მიმართულებაზე უნდა გაიაროს წინასწარი დაცვა. დაცვას უნდა ესწრებოდნენ შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი, მიმართულების, სამაგისტრო პროგრამის და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელები, რომლებმაც განმარტებით ბარათზე ხელმოწერით უნდა დაადასტურონ ნაშრომის დასრულების ხარისხი. მათ უნდა შეარჩიონ სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი, რომლის კანდიდატურა

საგამოცდო კომისიას დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს შესაბამისი დეპარტამენტის უფროსმა.

წინასწარი დაცვის შემდგომ, საგამოცდო კომისიაზე გასვლამდე, მაგისტრანტმა, წარმოსადგენი ნაშრომი უნდა გააფორმოს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად (იხ. დანართი 2 ან ვებ გვერდი www.gtu.ge – ადმინისტრაცია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური – დოკუმენტები – ინსტრუქციები) და ფაკულტეტის არქივს გადასცეს კომპაქტ დისკზე (CD) ჩაწერილი სამაგისტრო ნაშრომის განმარტებითი ბარათის და გრაფიკული ნაწილების სრული ციფრული ვერსია (იხ. დანართი 3. მოთხოვნები ციფრული ვერსიისადმი).

ამის გარდა, კომპაქტ დისკზე ჩაწერილი უნდა იყოს დამტკიცებული ფორმის მიხედვით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის ერთი სარეკლამო გვერდი (იხ. დანართი 4), რომლის ქაღალდის ვერსია (A4 ზომის ფურცელზე ამობეჭდილი) ასევე უნდა ჩაბარდეს ფაკულტეტის არქივს.

ნაშრომის შესაბამისობა აღნიშნულ მოთხოვნებთან არქივარიუსმა უნდა დაადასტუროს განმარტებით ბარათზე ხელმოწერით.

სამაგისტრო ნაშრომს დართული უნდა ჰქონდეს თემის ხელმძღვანელის (დანართი 5) და რეცენზენტის ხელმოწერილი დასკვნები (დანართი 6).

რეცენზენტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ხელს აწერენ განმარტებითი ბარათის შესაბამის გვერდზე.

დასკვნებისა და რომელიმე ხელმოწერის გარეშე ნაშრომი კომისიის წინაშე დასაცავად არ დაიშვება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას (წინასწარი დაცვა, საკვალიფიკაციო კომისია) აუცილებელია ნაშრომის გრაფიკული ნაწილის (მათ შორის ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები, ჩანახატები, ნახაზები, ფოტოები, რენდერები და სხვა) დემონსტრირება კომისიის წინაშე. დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკული წარმოდგენის ფორმას (ქაღალდის ან კომპიუტერული ვერსია) განსაზღვრავს მაგისტრანტი თემის ხელმძღვანელთან ერთად.

მოთხოვნები
“მეცნიერების მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარსადგენი ნაშრომის მიმართ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე “მეცნიერების მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი ნაშრომი სრულდება შემდეგ აკადემიურ მიმართულებებზე:

1. არქიტექტურული გეგმარება;
2. ურბანული დაგეგმარება;
3. სამოქალაქო და სამრეწველო შენობების ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი;
4. არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები;
5. შენობა-ნაგებობათა არქიტექტურული კონსტრუქციები და არქიტექტურული ფიზიკა;
6. არქიტექტურათმცოდნეობა (არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის ისტორია და თეორია);

მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს სტუ-ს შესაბამისი ინსტრუქციისა და წინამდებარე მოთხოვნების თანახმად (იხ. ვებ გვერდი www.gtu.ge – ადმინისტრაცია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური – დოკუმენტები – ინსტრუქციები ან დანართი 2).

ქალაქის ვერსიის გამოფენის შემთხვევაში ნაშრომის გრაფიკული მასალა კომისიის წინაშე უნდა იყოს წარმოდგენილი A2 ფორმატის ფურცლებზე ან პლანშეტებზე.

ციფრულ ფორმატში სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკული ნაწილის წარდგენა და დემონსტრირება კომისიის წინაშე უნდა მოხდეს შესაბამისი სადემონსტრაციო ტექნიკის გამოყენებით.

მოთხოვნები
“ინჟინერინგის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარსადგენი ნაშრომის მიმართ

“ინჟინერინგის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი ნაშრომი სრულდება სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის შემდეგ აკადემიურ მიმართულებებზე:

1. არქიტექტურული გეგმარება;
2. ურბანული დაგეგმარება;
3. სამოქალაქო და სამრეწველო შენობების ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი;
4. შენობა – ნაგებობათა არქიტექტურული კონსტრუქციები და არქიტექტურული ფიზიკა;
5. არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები;

“ინჟინერინგის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს არქიტექტურული პროექტის სახით და მას თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი, რომელიც გაფორმებული იქნება წინამდებარე მოთხოვნების შესაბამისად (იხ. დანართი 7).

კომისიის წინაშე პროექტის ქაღალდის ვერსიის გამოფენის შემთხვევაში მაგისტრანტმა ნაშრომის გრაფიკული მასალა უნდა წარმოადგინოს A1 ფორმატის არანაკლებ 8 და არაუმეტეს 10 ფურცელზე ან პლანშეტზე. თითოეულ ამ პლანშეტს მარჯვენა დაბალ კუთხეში უნდა ჰქონდეს დადგენილი ნიმუშის ხელმოწერებიანი შტამპი (იხ. დანართი 8).

არქიტექტურული პროექტის გრაფიკული ნაწილის ამსახველი ილუსტრაციები განმარტებით ბარათში უნდა განთავსდეს ცალკე დანართების სახით (იხ. დანართი 7).

“ინჟინერინგის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომების გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა მიმართულებების მიხედვით იხ. დანართი 9.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა

მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელმაც უნდა გამოავლინოს კურსდამთავრებულის როგორც თეორიული (სამეცნიერო), ასევე პრაქტიკული (შემოქმედებითი) პროფესიული მომზადების დონე, ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სიდანაც:

1. ხელმძღვანელი ანიჭებს მაქსიმუმ 40 ქულას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით

1	მაგისტრანტის ინტერაქტიური ურთიერთობა ხელმძღვანელთან	10 ქულა
2	მაგისტრანტის სამეცნიერო (სტატიები, კონფერენციები) ან შემოქმედებითი (კონკურსები, დათვალიერებები) მიღწევები მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში	15 ქულა
3	დამოუკიდებელი კვლევის, შემოქმედებითი მუშაობის, პროფესიული კრიტიკული აზროვნების უნარი	15 ქულა
	სულ	40 ქულა

2. რეცენზენტი ანიჭებს მაქსიმუმ 30 ქულას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით

1	თემის აქტუალობა,	5 ქულა
2	კვლევის შედეგების სიახლე, მიღებული გეგმარებითი გადაწყვეტილებების ორიგინალურობა.	5 ქულა
3	შედარება არსებულ პრაქტიკასთან და თეორიასთან	5 ქულა
4	თემის თუ პროექტის დამუშავების სამეცნიერო თუ არქიტექტურულ-მხატვრული დონე	5 ქულა
5	ჩატარებული სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება	5 ქულა
6	ნაშრომის შედეგების, მიღებული გადაწყვეტილებების გამოყენების შესაძლო გზები და მიმართულებები	5 ქულა
	სულ	30 ქულა

3. საგამოცდო კომისია ანიჭებს მაქსიმუმ 30 ქულას შემდეგი კრიტერიუმებით

1	პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი (იდეა – ჩანაფიქრის ორიგინალობის დონე, პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი, პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და კონსტრუქციული მიზანშეწონილობა და სხვა)	20 ქულა
2	პროექტის დაცვის უნარი, პროფესიული კომპეტენტურობის გამოვლენა.	10 ქულა
	სულ	30 ქულა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა. “საუკეთესო-შესანიშნავი” 91 – 100 ქულა
- ბ. “მალიან კარგი” 81 – 90 ქულა
- გ. “კარგი” 71 – 80 ქულა
- დ. “საშუალო” 61 – 70 ქულა
- ე. “დამაკმაყოფილებელი” 51 – 60 ქულა
- ვ. “არადამაკმაყოფილებელი” 41 – 50 ქულა
- ზ. “ცუდი” 0 – 40 ქულა

მაგალითისათვის: თუ თემის ხელმძღვანელის შეფასება არის 32 ქულა, რეცენზენტის- 24 ქულა, ხოლო კომისიის – 28 ქულა, სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება იქნება 84 ქულა, ანუ “მალიან კარგი”.

დაწარტები

სტუ-ს აკადემიური საბჭო
დადგენილება N 4
მაგისტრატურის შესახებ

1. დანიშნულება. მიზნები:

უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის-მაგისტრატურის დანიშნულებას და მიზნებს განსაზღვრავს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ.”

2. სამაგისტრო სპეციალიზაციათა ჩამონათვალი.

მაგისტრანტთა მომზადების უფლება.

2.1. სპეციალიზაცია, რომელშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ამზადებს მაგისტრს, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- _ უნდა წარმოადგენდეს ფაკულტეტის საგანმანათლებლო/კვლევითი მიმართულებებიდან ერთ-ერთის შემადგენელ მსხვილ კომპონენტს;
- _ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ბაზით, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალით.

2.2. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამაგისტრო სპეციალიზაციათა ჩამონათვალი, წარედგინება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ადგენს მის შესაბამისობას პუნქტ 2.1-ში მოცემულ მოთხოვნებთან, რის შემდეგაც დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2.3. დამტკიცებული სპეციალიზაციისთვის მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა, განხილული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და დამტკიცებული ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამებს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

- 2.4. მაგისტრანტთა მომზადების უფლება დამტკიცებული სპეციალიზაციების მიხედვით, პუნქტი 2.3-ში აღწერილი პროცედურის გავლასთან ერთად, გაიცემა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 4 წლით.

3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში პროგრამა) უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- 3.1. **პროგრამის დასახელება.** პროგრამის სახელწოდება უნდა ასახავდეს იმ სპეციალობას, რომელშიც მაგისტრანტს აკადემიური ხარისხი მიენიჭება. წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის დასახელების ინგლისური თარგმანი.
- 3.2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი.** მითითებულ უნდა იქნას მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომელიც უნდა ასახავდეს მაგისტრანტის კვალიფიკაციას. აუცილებლად უნდა იქნას მითითებული ხარისხის ინგლისური თარგმანი.
- 3.3. **პროგრამის ანალოგი.** მითითებულ უნდა იქნას (მინიმუმ ორი) ევროპის, აშშ და/ან მსოფლიოში წამყვან სხვა რომელ უნივერსიტეტში ხორციელდება მსგავსი სამაგისტრო პროგრამა. მიუთითეთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და ანალოგი პროგრამის დასახელება.

3.4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დასახელება.

მითითებული უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

- **მიზანი** – მოკლედ უნდა იქნას აღწერილი სამაგისტრო პროგრამის მიზანი;
- **შედეგი** – მოკლედ უნდა იქნას აღწერილი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, მისი ცოდნა და კომპეტენცია. მაგისტრის კვალიფიკაცია განისაზღვრება მისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით;

- დასაქმების სფეროები – მითითებულ უნდა იქნას, სად შეეძლება მუშაობა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს;
- აუცილებლად მითითებულ უნდა იქნეს, რომელ სპეციალიზაციებში უნდა ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მისი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით მომზადება.

3.5. პროგრამის სტრუქტურა

- წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით, სტუ-ში მიღებული ფორმით საგნების/მოდულების ჩამონათვალი მათი კრედიტები და განაწილება სემესტრების მიხედვით.
- მითითებული უნდა იყოს საგნის/მოდულის სტატუსი – ძირითადი თუ არჩევითი. ამ უკანასკნელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის საერთო მოცულობის 50%-ს.
- პროგრამის მოცულობა – არანაკლებ 120 ევროკრედიტი; აკადემიური წლის განმავლობაში – 60 ევროკრედიტი, სემესტრში – 30 ევროკრედიტი.
- კვლევითი კომპონენტის მოცულობა არანაკლებ 30 ევროკრედიტის და არაუმეტეს 40 ევროკრედიტისა.

3.6. საგნის/მოდულის სილაბუსი

წარმოდგენილ უნდა იქნას თითოეული საგნის სილაბუსი სტუ-ში მიღებული ფორმის მიხედვით.

3.7. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების სრული ან ასოცირებული პროფესორი.

ხელმძღვანელის მოვალეობაა, უზრუნველყოს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განხორციელება. იგი ადგენს მაგისტრანტისთვის საჭირო საგნების/მოდულების ჩამონათვალს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სტატუსის მქონე საგნებიდან/მოდულებიდან, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელებას. ხელმძღვანელის CV წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 2-ში მოცემული ფორმით.

4. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება

შესაძლებელია ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება. სამაგისტრო პროგრამის განხორციელება პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობით რეგულირდება ამ ორგანიზაციასთან დადებული შეთანხმებით თანამშრომლობისა და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შესახებ.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ორი ხელმძღვანელი. სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში განხილვისათვის წარსადგენი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ მოყვანილ ყველა პირობას. ამის გარდა, აუცილებლად უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

- პარტნიორი უნივერსიტეტის დასახელება;
- ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების თაობაზე (ხელშეკრულებაში ასევე უნდა აღინიშნოს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭების პირობები, თუ ეს იგეგმება).
- სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ან საკონტაქტო პირი, რომელიც ერთობლივი პროგრამის განხორციელებას კურირებს პარტნიორ უნივერსიტეტში;
- სამაგისტრო პროგრამის სწავლების ენა (უცხოელი პარტნიორების შემთხვევაში);
- სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები, რომლებიც განხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტში (საგნები, კვლევა, პრაქტიკა, ლექტორების მოწვევა და ა.შ.);
- პარტნიორი უნივერსიტეტის ფინანსური მონაწილეობა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას.

5. მაგისტრატურაში ჩარიცხვა

- 5.1. მაგისტრატურაში სწავლების უფლება ეძლევათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი დიპლომი.
- 5.2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება ასევე შეიძლება მიენიჭოთ ბაკალავრიატის უმაღლესი განათლების მქონე იმ კურს დამთავრებულ პირებს, რომელთა დაგროვილი კრედიტების რაოდენობა იქნება შესაბამისი 240 ევროკრედიტისა. დაგროვილ კრედიტთა შესაბამისობას 240 ევროკრედიტთან ადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- 5.3. მაგისტრატურაში სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი საფაკულტეტო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება სპეციალურ საგამოცდო კომისიებთან, რომელთაც მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების გამოცხადებისას აცალიბებს ფაკულტეტის საბჭო.
- 5.4. გამოცდების რაოდენობას, დისციპლინებსა და ტესტების საკითხებს შეიმუშავებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
- 5.5. საფაკულტეტო სამაგისტრო გამოცდების დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა გაკეთდეს მისი ჩატარების თარიღიდან არა ნაკლებ ერთი თვით ადრე.
- 5.6. მაგისტრატურაში მიმღები საფაკულტეტო კომისიების რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
- 5.7. ფაკულტეტის მიხედვით მაგისტრატურაში ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობას, აგრეთვე ჩარიცხული კონტიგენტის სწავლების სხვადასხვა ფორმას (საბიუჯეტო, არასაბიუჯეტო) შორის პროცენტულ თანაფარდობას ადგენს სტუ-ს აკადემიური საბჭო.
- 5.8. ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს მაგისტრატურაში ჩარიცხული სტუდენტის ხელმძღვანელსა და სამაგისტრო თემას.

6. მაგისტრატურაში განაცხადის შეტანის პროცედურა.

6.1. მაგისტრატურაში მიმღებ შესაბამის საგამოცდო კომისიაში (პუნქტი 5.3) მაგისტრატურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

6.1.1. განაცხადი.

6.1.2. პირადობის მოწმობის ასლი

6.1.3. დიპლომის დანართი, დადგენილი ფორმით სადაც ნაჩვენებია იქნება ბაკალავრიატში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების რაოდენობა.

6.1.4. ორი რეკომენდაცია. რეკომენდაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი იმ ორგანიზაციიდან სადაც კონკურსანტი საბაკალავრო პროგრამას გადიოდა. თუ ასეთი ორგანიზაცია რამდენიმეა მაშინ ორგანიზაციიდან სადაც გაიარა საბაკალავრო პროგრამის ძირითადი ნაწილი.

6.1.5. აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ კონკურსანტს საგამოცდო კომისიის (პუნქტი 5.3) პასუხისმგებელი პირი გადასცემს საგამოცდო ფურცელს, რომელშიც უნდა იყოს მითითებული საგამოცდო დისციპლინების ჩამონათვალი, ჩატარების თარიღი, დრო, აუდიტორია.

6.2. კონკურსანტმა უნდა გაიაროს საფაკულტეტო სამაგისტრო გამოცდები საგამოცდო ფურცელში აღნიშნულ დისციპლინებსა და ვადებში.

6.3. ზემოთჩამოთვლილი (6.1.1, 6.1.2, 6.1.3) დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტის პირადი საქმე არ განიხილება.

7. სასწავლო პროცესი და კვალიფიკაციის მინიჭება.

7.1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომლის საფუძველი არის შესაბამისი სპეციალიზაციისთვის შედგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ძირითად საგნებს/მოდულებსა და სამაგისტრო თემის შესაბამის არჩევით საგნებს/მოდულებს. (პუნქტი 3.5).

7.2. მაგისტრანტის მიერ სათანადო მიმართულებით მიღებული შედეგები აისახება მის მიერ, საჭირო ფორმით (პუნქტი 7.5) გაფორმებულ სამაგისტრო ნაშრომში.

7.3. მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო ან სხვა სახის სამუშაოები.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და წარმოაჩინოს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

7.4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დანიშნულ საგამოცდო კომისიაზე (პარაგრაფი 8).

7.5. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. ფაკულტეტის საბჭოს ნებართვით დასაშვებია მისი სხვა ენაზე შესრულება. ნაშრომის გაფორმების წესსა და მოცულობას ადგენს სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამაგისტრო ნაშრომს დართული უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის წერილობითი დასკვნა.

საგამოცდო კომისია რეცენზენტად ამტკიცებს პირს, რომელსაც სამაგისტრო ნაშრომის შესაბამის/მონათესავე სპეციალიზაციაში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე სამი ნაშრომი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:

მაგისტრანტის მიერ შესრულებული რომელიმე სამუშაოს თანაავტორი, აგრეთვე უშუალოდ იმ სტუქტურული ერთეულის თანამშრომელი, სადაც მიმდინარეობდა მაგისტრატურაში სწავლა/კვლევა.

7.6. რეცენზენტის დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების, მისი შესწორების მიზნით მაგისტრანტისათვის უკან დაბრუნების ან დაცვაზე უარის თქმის შესახებ. უმნიშვნელო შენიშვნების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის მიღება ხდება ხარვეზების გამოსწორების დათქმით. რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას ახდენს შემდეგი სისტემის მიხედვით:

➤ “საუკეთესო” – (91-100 ქულა)

- “მალიან კარგი” _ (81-90 ქულა)
- “კარგი” _ (71-80 ქულა)
- “საშუალო” _ (61-70 ქულა)
- “დამაკმაყოფილებელი” _ (51-60 ქულა)
- “არადამაკმაყოფილებელი” _ (41-50 ქულა)
- “ცუდი” _ (0-40 ქულა)

7.7. შესწორების მიზნით მაგისტრანტისათვის უკან დაბრუნების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომი ხელახლა უნდა იქნას წარდგენილი 6 თვის ვადაში. ხელახლა წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის კვლავ “არადამაკმაყოფილებელი” შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტის ნაშრომი აღარ განიხილება.

7.8. შეფასება “ცუდი” მიღების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომი არ მიიღება დასაცავად. მაგისტრანტს უფლება აქვს რეცენზენტის შეფასება “ცუდი” გაასაჩივროს საგამოცდო კომისიაში, კომისია განიხილავს საჩივარს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

8. საგამოცდო კომისია. დაცვა

8.1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად ქმნის საგამოცდო კომისიებს.

8.2. საგამოცდო კომისია უნდა შედგებოდეს შესაბამისი/მონათესავე სპეციალიზაციის არა ნაკლებ ხუთი და არა უმეტეს შვიდი სრული/ასოცირებული პროფესორისგან.

8.3. საგამოცდო კომისიაში ასევე შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი მოწვეული სხვა ორგანიზაციიდან.

8.4. საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე, რომელიც უნივერსიტეტის მოქმედი ან საპატიო

პროფესორი. დაცვას უნდა ესწრებოდეს კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

8.5. დაცვა არის საჯარო, მის მსვლელობასა და შედეგზე უნდა შედგეს საბოლოო ოქმი

8.6. დაცვა ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ თემის წარმოდგენას/პრეზენტაციას. მოხსენებას მოსდევს შეკითხვა/კამათი.

8.7. საგამოცდო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

9. შეფასება

9.1. ნაშრომი ფასდება საგამოცდო კომისიის მიერ, დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე.

9.2. გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

a) საუკეთესო _ შესანიშნავი ნაშრომი;

b) ძალიან კარგი _ შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველ მხრივ აღემატება;

გ) კარგი _ შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო _ შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი _ შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) ცუდი _ შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს.

9.3. სამაგისტრო ნაშრომი არ ითვლება დაცულად, თუკი მას საგამოცდო კომისიის უმრავლესობა აფასებს როგორც „ცუდი“.

9.4. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე საგამოცდო კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მაგისტრანტს აცნობს ზეპირად.

9.5. თუ სამაგისტრო ნაშრომი არ იქნა დაცული, დაცვის გამეორება შესაძლებელია მომდევნო 6 თვის განმავლობაში. მაგისტრანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ საგამოცდო კომისიას უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.

10. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა/დიპლომი

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელ მოწმობას/დიპლომს გასცემს ტექნიკური უნივერსიტეტი.

11. ბათილობა

სამაგისტრო ნაშრომის საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა არის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის/დიპლომის არ გაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

1. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

1.1. ზოგადი დებულებანი

- ❖ **მოცულობა:** სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 70 და არაუმეტეს 100 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.
- ❖ **ენა:** სამაგისტრო ნაშრომის შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე. იხ. აგრეთვე სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N.4, პუნქტი 7.5.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია

- ❖ **სტრუქტურა:** სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.
- ❖ **ქაღალდი:** სამაგისტრო ნაშრომის უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ტექნოლოგიური სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.
- ❖ **მინდორი:** მარცხენა მხარე – 38 მმ, დანარჩენი მხარეები – 25 მმ.
- ❖ **შრიფტი:** ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე სტანდარტული შრიფტით (AcadNusx, Litnux, Literaturuli_BJG_2000, Sylfaen) ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი ზომით 14. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებულ ხარისხით.
- ❖ **გვერდების ნუმერაცია:** ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (I, ii, iii და ა. შ.). სამაგისტრო ნაშრომის სხვა

დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ-ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ-ით.

- ❖ **სტრიქონებს შორის მანძილი:** ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.
- ❖ **თავებისა და ქვეთავების დასახელებები:** ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
- ❖ **ლიტერატურის ციტირება:** ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აზნაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი დისერტაციის ბოლოს (იხ. პარაგრაფი 1.4).
- ❖ **სქოლიო:** სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.
- ❖ **სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები:** არააუცილებელი ნაწილები მითითებულია ვარსკვლავით.
 - ტიტულის გვერდი
 - ხელმოწერების გვერდი
 - საავტორო უფლების გვერდი
 - ვინმესთვის მიძღვნის გვერდი*
 - რეზიუმე (ორ ენაზე)
 - შინაარსი
 - ცხრილების ნუსხა
 - ნახაზების ნუსხა
 - გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა*
 - ანბანური საძიებელი*
 - მაღლიერების გვერდი*
 - ძირითადი ტექსტი
 - შესავალი
 - ლიტერატურის მიმოხილვა
 - შედეგები და მათი განსჯა
 - დასკვნა
 - სქოლიო*
 - ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა
 - დანართები*

ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკული თვალსაზრისით დასაშვებია დანართების განთავსება ბიბლიოგრაფიის წინ.

1.2. შესავალი ნაწილის გვერდები

- a) **სატიტულო გვერდი (გარე ყდა):** უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, მაგისტრანტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, „თბილისი, 0175, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება.
- b) **ხელმოწერების გვერდი (გვერდი (ii)):** უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები, შესრულებელი შავი ფერის მელნით. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, ფაკულტეტის დასახელებას, „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავცევით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვამღებთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის [ფაკულტეტის დასახელება] საგამოცდო კომისიაში მის განხილვას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (პასუხისმგებელია გაფორმების შესაბამისობაზე) და რეცენზენტის ხელმოწერით.
- c) **საავტორო უფლების გვერდი (გვერდი (iii)):** უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვა) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, საგამოცდო კომისიაში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, ფაკულტეტის დასახელებას, სამიხედულ აკადემიურ ხარისხს, სხდომის ჩატარების თარიღს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ

სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

- d) **ვინმესთვის მიძღვნის გვერდი (საჭიროების შემთხვევაში):** აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. იგი არ აღემატებოდეს 30 სიტყვას.
- e) **რეზიუმე (აუცილებელი):** მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი შედეგები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. საგამოცდო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს რეზიუმეს გავცელება როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლი. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე სამაგისტრო ნაშრომისა და ინგლისურ ენაზე.
- f) **შინაარსი (აუცილებელი):** დისერტაცია უნდა შეიცავდეს სარჩევს. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.
- g) **ცხრილების ნუსხა (აუცილებელი).** ინტერვალი უნდა იყოს 1.5–2. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.
- h) **ნახაზების ნუსხა (აუცილებელი).** ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „-“, „_“.
- i) **გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში):** სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის.
- j) **ანბანური საძიებელი (საჭიროების შემთხვევაში):** ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია ანბანური საძიებლის დართვა.
- k) **მადლიერების გვერდი (საჭიროების შემთხვევაში):** ავტორს აქვს უფლება სამაგისტრო ნაშრომში გამოხატოს მადლიერება ყველა იმ პირის მიმართ, ვინც გარკვეული დახმარება გაუწია (წვლილი შეიტანა ამა თუ იმ ფორმით) სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას. ამასთანავე, ყოველი დასახელებული პიროვნების შემდეგ უნდა იყოს მოკლედ და მკაფიოდ აღნიშნული მადლიერების მიზეზი (აღნიშნული პირის მიერ გაწეული დახმარების ფორმა, მაგ.: ფინანსური დახმარება, მივლინების ორგანიზება, კვლევისათვის საჭირო მასალებით დახმარება, კონსულტაცია და ა.შ.). აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. მისი ზომა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.

1.3. ძირითადი ტექსტი

ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ავტორის მიერ ჩატარებული სამეცნიერო/საინჟინრო კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას.

- a) **შესავალი:** შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას სამაგისტრო ნაშრომში დასმული საკვლევი/საინჟინრო პრობლემის აღწერა, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.
- b) **ლიტერატურის მიმოხილვა:** ლიტერატურის მიმოხილვაში მოცემული უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომში დასმული საკვლევი/საინჟინრო ამოცანის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი. ლიტერატურის მიმოხილვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 30%-ს.
- c) **შედეგების განსჯა:** შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.
- d) **დასკვნა:** სამაგისტრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს დასკვნებს, რომელიც მოკლედ უნდა იქნას ჩამოყალიბებული.

1.4. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

- a) **ზოგადი დებულებანი:** გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული შემდეგი სტილი:

სტატია:

გვარი ინიციალი. [ინიციალი], [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური.
ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი.] გვ. დასაწისი–
დასასრული.

მაგ.:

1. Xie W., Pu J., MacKerell A.D. Development of a Polarizable Intermolecular Potential Function (PIPF) for Liquid Amides and Alkanes. *J. Chem. Theory Comput.*, 2007, 3, 6, 1878 -1889.

წიგნი:

ცალკეული გვერდების მითითებისას:

გვარი ინიციალი. [ინიციალი], [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური.
გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ. დასაწისი–დასასრული.

მაგ.:

1. Bruice P. Organic Chemistry. New-York: Pearson Education, Inc., 2004, pp 45-123.

მთლიანი წიგნის მითითებისას:

გვარი ინიციალი. [ინიციალი], [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური.
გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ.

1. Bruice P. Organic Chemistry. New-York: Pearson Education, Inc., 2004, 896 p.

პატენტი:

გვარი ინიციალი. [ინიციალი], [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი პატენტის ნომერი. გამოქვეყნების თარიღი, განაცხადის ნომერი. განაცხადის შეტანის თარიღი.

1. Cunningham B. T., Li P. Method and instrument for detecting biomolecular interactions. USA Pat . No. 7292336. 6.11.2007. Appl. No.: 11/605,798. Filed: 28.03.2007.

ინფორმაცია გლობალური ქსელი:

ვებ-გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

მაგ.:

1. <http://patft.uspto.gov/netacgi/doc.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 5.03.2007.

- b) **გვერდების ნუმერაცია:** გვერდები იხილება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად.
- c) **ინტერვალი:** სტრიქონებს შორის ინტერვალი არის 1. აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი.
- d) **შრიფტის ზომა:** შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

1.5. ცხრილები, ნახაზები და ფორმულები.

- a) **ზოგადი დებულებანი:** ნახაზებისა და ცხრილების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ნახაზებისა და ცხრილების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ნახაზები და ცხრილები აიგება შავ-თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი ილუსტრაციების გამოყენება.
- b) **დასახელებები:** დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ ცხრილებისა და ნახაზების თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად უნდა გამოყენებული იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1-ის ტოლი.
- c) **ადგილმდებარეობა:** ნახაზები, ცხრილები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე და დანართების სახით. ნახაზები, ცხრილები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.
- d) **ნუმერაცია:** ძირითად ტექსტში არსებული ნახაზები და ცხრილების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ნახაზებისა და ცხრილების ნუმერაცია იწყება თავიდან.

1.6. დანართები.

- a) **ზოგადი დებულებანი:** დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და სხვა.
- b) **საავტორო უფლებები:** როდესაც დისერტაციაში გამოყენებულია საავტორო უფლებებით დაცული მასალები, მაშინ დანართებში ცალკეული გვერდ(ებ)ის სახით უნდა დაემატოს საავტორო უფლებაზე ნებართვის წერილ(ებ)ი.


სამაგისტრო ნაშრომის ციფრული ვერსიისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. სამაგისტრო ნაშრომის ციფრული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს კომპაქტ დისკზე **(CD)**
2. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტური მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს **Word**-ის ან **PDF** ფაილის სახით, ხოლო მისი გრაფიკული ნაწილის თითოეული პლანშეტი **PDF** ან **JEPG** ფაილების სახით (ხელით შესრულებული ჩანახატებისა და ნახაზებისათვის დასაშვებია ციფრული ფოტოგრაფირება).
3. ამას გარდა, კომპაქტ დისკზე **(CD)** ჩაწერილი უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის სარეკლამო გვერდი თანდართული ბუკლეტის ფორმის მიხედვით (დანართი 3). მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს ამ სარეკლამო გვერდის A4 ზომის ფურცელზე ამობეჭდილი (ფერადად ან შავ-თეთრად) ქალაქის ვერსია.
4. წარმოდგენილ **CD** კომპაქტ დისკს უნდა ჰქონდეს შავი ფერის **CD** მარკერით შესრულებული არაუმეტეს 5-6 მმ სიმაღლის წარწერები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - I. დიპლომის დაცვის წელი- მაგალითად : **2009 წელი**
 - II. ნაშრომის აკადემიური ხარისხი და თემა. მაგ. **სამაგისტრო ნაშრომი „ქალაქის განვითარების ურბანული წინამძღვრები რუსთავის მაგალითზე“**
 - III. სადიპლომო ნაშრომის მიმართულება – მაგალითად: **ქალაქთგეგმარება**
 - IV. დიპლომანტის გვარი,სახელი (გამოყავით დიდი (7-8 მმ ზომის) შრიფტით) – მაგალითად: **მაგისტრანტი ლოსაბერიძე თამარ**
 - V. სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი. მაგალითად.: **ხელმძღვანელი: გვარამაძე ზურაბი**

ბუკლეტის ფორმის ციფრული ვერსია შეიძლება ჩამოიტვირთოს ფაკულტეტის ვებ გვერდიდან (www.gtu.ge – არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – **MDL** (მულტიმედია დიზაინის ლაბორატორია) – გადაწერა – ბუკლეტის ფორმა.

ზემოთ მოყვანილი შაბლონი უნდა შეივსოს აკადემიური მიმართულების შესაბამისად.

ბუკლეტის ფორმის, შრიფტის ტიპის (ფონტის) და ზომის შეცვლა დაუშვებელია.

<p>სასწავლო წელი 2008-2009 ACADEMIC YEAR</p> 	<p>ფოტო თემის ხელმძღვანელი: Supervisor:</p> <p>ფოტო პროექტის ავტორი Author:</p>	<p>აკადემიური მიმართულება: “_____” ხელმძღვანელი: პროფესორი _____</p> <p>Academic Direction “_____” Head: Professor _____</p>
<p>თემის დასახელება: ანოტაცია ქართულად</p>		
<p>SUBJECT: ანოტაცია ინგლისურად</p>		

მოთხოვნები სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის მიერ წარმოსადგენი დასკვნის მიმართ

1. დასკვნა უნდა იწყებოდეს იმის აღნიშვნით თუ ვის მიერ არის იგი შედგენილი, ვის მიერ წარმოდგენილ ნაშრომს ეხება იგი, რა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი და რა არის მისი თემის კონკრეტული დასახელება.

2. თემის ხელმძღვანელის დასკვნა უნდა შეიცავდეს წარმოდგენილი ნაშრომის, და ავტორის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას.

3. ხელმძღვანელის მიერ მისანიჭებელი ქულების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 40, რაც უნდა გადანაწილდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

#	კრიტერიუმი	შესაძლო მაქსიმალური ქულა	ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული ქულა
1	მაგისტრანტის ინტერაქტიური ურთიერთობა ხელმძღვანელთან	10	
2	მაგისტრანტის სამეცნიერო (სტატიები, კონფერენციები) ან შემოქმედებითი (კონკურსები, დათვალიერებები) მიღწევები მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში	15	
3	დამოუკიდებელი კვლევის, შემოქმედებითი მუშაობის, პროფესიული კრიტიკული აზროვნების უნარი	15	
	სულ	40	

4. დასკვნა ფორმალურად უნდა მთავრდებოდეს წინადადებით, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ხელმძღვანელის მოსაზრება იმსახურებს თუ არა წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი მეცნიერების ან ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს შესაბამის სპეციალობაში.

5. დასკვნა ხელმოწერილი, დათარიღებული უნდა იყოს ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბეჭდით.

მაგალითი:

საკვალიფიკაციო თემის ხელმძღვანელის
არქიტექტორ ვ. იამანიძის

დასკვნა

დავით ვარდოსანიძის

მიერ მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ
საკვალიფიკაციო ნაშრომზე „ ქალაქის განვითარების ურბანული წინამძღვრები
რუსთავის მაგალითზე“

#	კრიტერიუმები	შესაძლო მაქსიმალური ქულა	ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული ქულა
1	მაგისტრანტის ინტერაქტიური ურთიერთობა ხელმძღვანელთან	10	4
2	მაგისტრანტის სამეცნიერო (სტატიები, კონფერენციები) ან შემოქმედებითი (კონკურსები, დათვალიერებები) მიღწევები მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში	15	5
3	დამოუკიდებელი კვლევის, შემოქმედებითი მუშაობის, პროფესიული კრიტიკული აზროვნების უნარი	15	15
	სულ	40	24

წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი იმსახურებს მეცნიერებათა / ინჟინერინგის
მაგისტრის აკადემიურ ხარისხს არქიტექტურაში (ქალაქთგეგმარება).

ხელმოწერა:
თარიღი:

სამახსოვრო
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
ნაშრომის რეცენზენტს

რეცენზენტის მონაწილეობა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში განიხილება, როგორც მისი საზოგადოებრივ-სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარე.

რეცენზენტის გამომხატველობა სამაგისტრო ნაშრომზე, მისი გამოსვლა საგამოცდო კომისიის წინაშე - შემოქმედებითი დისკუსიის წარმართვის აუცილებელი ელემენტია. რეცენზენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის დეტალურ ექსპერტიზაზე, მის არგუმენტირებულ და სრულ დასკვნაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საგამოცდო კომისიის ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება საძიებელი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მეცნიერების ან ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის რეცენზენტად შეიძლება შერჩეულ იქნეს შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია ღრმა პროფესიული ცოდნა, შეუძლია ობიექტური დასკვნების გაკეთება, შესწევს პრინციპულობის გამოვლენის უნარი, რომელსაც სამაგისტრო ნაშრომის შესაბამის ან მონათესავე სპეციალიზაციაში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე 3 ნაშრომი ან განხორციელებული აქვს მინიმუმ 3 არქიტექტურული პროექტი.

რეცენზენტი არ შეიძლება იყოს: მაგისტრის მიერ შესრულებული რომელიმე სამუშაოს თანავტორი, აგრეთვე იმ სტრუქტურული ერთეულის (მიმართულების) თანამშრომელი, სადაც მიმდინარეობდა მაგისტრატურაში სწავლა და კვლევა.

რეცენზენტის მიერ მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს სტუ-ს მაგისტრატურის დებულებას (იხ. დანართი 1. პუნქტები 7.5; 7.6; 7.7. და 7.8.).

ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შესწავლის და გაცნობის საფუძველზე რეცენზენტმა საგამოცდო კომისიის წინაშე უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა; შეფასების ობიექტურობა ითვალისწინებს ნაშრომის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების გამოვლენას. ამასთან აქცენტი უნდა გაკეთდეს საკვანძო პრობლემებზე, ყურადღება გამახვილდეს საექვო შედეგებზე და გადაწყვეტილებებზე, რაც შეიძლება გახდეს ძირითადი დისკუსიის თემა დაცვის მსვლელობისას;

დასკვნაში უნდა აისახოს:

1. სამაგისტრო თემის აქტუალობა;
2. სამაგისტრო ნაშრომის თითოეული ძირითადი დასკვნის ან კვლევის შედეგის სიახლე, ან მიღებული გეგმარებითი გადაწყვეტილებების ორიგინალურობა;
3. შედარება არსებულ პრაქტიკასა და თეორიასთან;
4. კონკრეტული თემის თუ პროექტის დამუშავების სამეცნიერო თუ არქიტექტურულ-მხატვრული დონე;
5. მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება;
6. ნაშრომის შედეგების, მიღებული გადაწყვეტილებების გამოყენების შესაძლო გზები და მიმართულებები.
7. შენიშვნები სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებაზე;

8. დასკვნა ფორმალურად უნდა მთავრდებოდეს წინადადებით, რომელშიც დაფიქსირებული იქნება რეცენზენტის მოსაზრება იმსახურებს თუ არა წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი მეცნიერების ან ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს შესაბამის აკადემიურ მიმართულებაში.

რეცენზენტის მიერ ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას რეცენზენტი ანიჭებს მაქსიმუმ 30 ქულას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

#	კრიტერიუმი	შესაძლო მაქსიმალური ქულა	რეცენზენტის მიერ მინიჭებული ქულა
1	თემის აქტუალობა,	5 ქულა	
2	კვლევის შედეგების სიახლე, მიღებული გეგმარებითი გადაწყვეტილებების ორიგინალურობა.	5 ქულა	
3	შედარება არსებულ პრაქტიკასთან და თეორიასთან	5 ქულა	
4	თემის თუ პროექტის დამუშავების სამეცნიერო თუ არქიტექტურულ-მხატვრული დონე	5 ქულა	
5	ჩატარებული სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება	5 ქულა	
6	ნაშრომის შედეგების, მიღებული გადაწყვეტილებების გამოყენების შესაძლო გზები და მიმართულებები	5 ქულა	
	სულ	30 ქულა	

თუ რეცენზენტის დასკვნა უარყოფითია და რეცენზენტის აზრით ავტორს არ შეიძლება მიენიჭოს საძიებო აკადემიური ხარისხი, მან თავის დასკვნაში ცხადად უნდა მიუთითოს ამის კონკრეტული მიზეზები: სამაგისტრო ნაშრომში სიახლის არ არსებობა; შედეგების არასაკმარისი დამაჯერებლობა; დაბალი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება; ნაშრომის გაფორმებასთან დაკავშირებული შეცდომები ან დარღვევები.

ასეთ შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება იქნეს წარდგენილი საგამოცდო კომისიის წინაშე შემდეგ სასესიო პერიოდში.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა კეთდება წერილობით – ორ ეგზემპლიარად. დასკვნას ხელს აწერს რეცენზენტი და მოწმდება არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბეჭდით.

სამაგისტრო ნაშრომის განმარტებითი ბარათის გაფორმება

(ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის სფეროში)

1.1 ზოგადი დებულებანი

- განმარტებითი ბარათი წარმოდგენილი უნდა იქნეს მინიმუმ 3 ეკვემპლარად.
- **მოცულობა:** სამაგისტრო ნაშრომის განმარტებითი ბარათის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 15 და არაუმეტეს 25 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.
- **ენა:** სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე. დასაშვებია ნაშრომის შესრულება სხვა ენაზეც, რის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ფაკულტეტის საბჭომ.
- **ქაღალდი:** სამაგისტრო ნაშრომის ტექსტური ნაწილი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297 x 210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე.
- **მინდორი:** მარცხენა მხარე – 38 მმ, დანარჩენი მხარეები – 25 მმ.
- **შრიფტი:** ტექსტის ძირითადი, ქართული ნაწილი უნდა შესრულდეს სტანდარტული ქართული უნიკოდით (Sylfaen) N12 შრიფტით (შეგიძლიათ გადაწეროთ სტუ–ს ვებ გვერდზე (<http://www.gtu.ge>) განთავსებული არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის MDL – მულტიმედია დიზაინის ლაბორატორიის გვერდიდან (Georgian Unicode with English Layout). თავების და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებული უნდა

იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი ზომით 14. უცხო ენაზე შესრულებული ტექსტური ნაწილები უნდა შესრულდეს: ლათინური ალფაბეტის შემთხვევაში - შრიფტით Times New Roman, ხოლო რუსული ალფაბეტის შემთხვევაში - შრიფტით Cirillic. სხვა შრიფტებით შესრულებული ნაშრომები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე.

- **გვერდების ნუმერაცია:** ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების ნომრის განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გადრა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა.შ). სამაგისტრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ-ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ-ით.
- **სტრიქონებს შორის მანძილი:** ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა. რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.
- **თავებისა და ქვეთავების დასახელებები:** ყველა თავის და ქვეთავის დასახელება ინდა იქნას ჩართული სარჩევში, ყველა თავი უნდა იწყებოდეს გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
- **ლიტერატურის ციტირება:** ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში ჩაწერილი არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი ტექსტური ნაწილის ბოლოს (იხ. პარაგრაფი 1.4).

- **სქოლიო:** სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომლებიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.
- **სტრუქტურა:** სამაგისტრო ნაშრომის განმარტებითი ბარათის სტრუქტურა (ვარსკვლავით მითითებული ნაწილი სავალდებულო არ არის)
 1. სატიტულო გვერდი (თავფურცელი ანუ გარე ყდა)
 2. ხელმოწერების გვერდი
 3. საავტორო უფლებების გვერდი
 4. ვინმესთვის მიძღვნილი გვერდი*
 5. რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენებზე) მაქსიმუმ 120 სიტყვა თითოეული
 6. სარჩევი (შინაარსი)
 7. გრაფიკული მასალის (ნახაზების, ჩანახატების, ფოტოების) ნუსხა
 8. განმარტებითი ბარათი (ძირითადი ტექსტი)
 9. სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკული ნაწილის ამსახველი დანართები
 10. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

სტრუქტურაში მოცემული გვერდების გვერდების შინაარსი:

1. **სატიტულო გვერდი** (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის, იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, მაგისტრანტის გვარს, სახელს და ტექსტს «წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად», «საქართველოს ტექნიკური უივერსიტეტი», «თბილისი, 0175, საქართველო», მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), მაგრამ იგი არ მიეთითება.

1. სატიტულო გვერდის (თავფურცელის ანუ გარე ყდის) მაგალითი

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი თბილისში

გვარამაძე ნიკოლოზი

წარდგენილია

არქიტექტურაში ინჟინერინგის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2009 წელი

2. ხელმოწერების გვერდი – უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები, შესრულებული შავი მელნით. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს:

„ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი”.

„ ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავცანით /გვარი, სახელი/ მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით :/დასახელება/ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“.

თარიღი.

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- დეპარტამენტის უფროსი
- მიმართულების ხელმძღვანელი
- სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
- სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი
- რეცენზენტი
- არქივარიუსი

3. საავტორო უფლების გვერდი (გვერდი (iii)): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვა) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: «საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი», საგამოცდო კომისიაში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, ფაკულტეტის დასახელებას, საძიებელ აკადემიურ ხარისხს, სხდომის ჩატარების თარიღს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს” და «ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას».

4. ვინმესთვის მიძღვნის გვერდი (საჭიროების შემთხვევაში): აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. იგი არ აღემატებოდეს 30 სიტყვას.

5. რეზიუმე (აუცილებელია) : მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს

სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 120 სიტყვისა. საგამოცდო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს რეზიუმეს გავრცელება როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლი. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე სამაგისტრო ნაშრომისა და ინგლისურ ენაზე.

6. სარჩევი (შინაარსი): დასახელებებს შორის ინტერვალი უნდა იყოს ერთის ტოლი, შრიფტის ზომა 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: « . », « – », « _ ».

7. გრაფიკული მასალის (ნახაზების, ჩანახატების, ფოტოების) ნუსხა: დასახელებებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომრებს შორის შევსება სიმბოლოებით: « . », « – », « _ ».

8. განმარტებითი ბარათის ტექსტის სავარაუდო შინაარსი

- I. შესავალი (*მოტივაცია, თუ რატომ იქნა არჩეული წარმოდგენილი სამაგისტრო თემა*)
- II. არჩეული თემის აქტუალობა და მისი განმაპირობებელი პრობლემების მიმოხილვა
- III. უცხოეთის პრაქტიკის მიმოხილვა ფოტოასლების თანხლებით
- IV. სამამულო პრაქტიკის მიმოხილვა ფოტოასლების თანხლებით
- V. საპროექტო ტერიტორიის შერჩევის არგუმენტაცია და დახასიათება (*ადგილი ქალაქის სტრუქტურაში, ბუნებრივ – კლიმატური, ტოპოგრაფიული, გეოლოგიური პირობები*)
- VI. საპროექტო ტერიტორიის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით (*სხვადასხვა დანიშნულების გზები, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, გაზმომარაგება, ელექტრომომარაგება*)

- VII. ჩატარებული კვლევის აღწერა (*თუ ასეთი არსებობს*) და მისი შედეგები
- VIII. კვლევის შედეგების ტრანსფორმაცია არქიტექტურულ რეკომენდაციებად და მათი ჩამონათვალი
- IX. შენობის ფუნქციური ზონები, მათი ჩამონათვალი და ურთიერთკავშირი; ტექნოლოგიური და ფუნქციური ლოგიკა.
- IX. შემოთავაზებული გეგმარებითი გადაწყვეტილებების პრინციპები და თავისებურებები
- XI. სივრცითი კომპოზიცია და შემოთავაზებული მოცულობითი გადაწყვეტილებების თავისებურებები
- XII. კონსტრუქციული გადაწყვეტილებები (*საძირკვლები, მზიდი და არამზიდი კედლები, სართულშუა გადახურვები, სახურავი, კარ-ფანჯრები, იატაკები, კიბეები და ლიფტები*)
- XIII. მხატვრული პოზიცია გარემოს კონტექსტთან მიმართებაში
- XIV. შენობათა ფასადების, ინტერიერების მოპირკეთება, გამოყენებული მასალები, ფერი, ფაქტურა
- XV. ტერიტორიის კეთილმოწყობის თავისებურებები (*გარე განათება, მოშანდაკება-მოკირწყვლა, გამწვანება, მცირე არქიტექტურული ფორმების გამოყენება*)

9. სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკული ნაწილის ამსახველი დანართები :

სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკული ნაწილის ამსახველი ილუსტრაციები უნდა განთავსდეს განმარტებითი ბარათის ძირითადი ტექსტის ბოლოს დანართების სახით. ისინი უნდა შესრულდეს ფერადი ბეჭდვით როგორც წესი – A4 ან A3 ფორმატის ფოტოგრაფიულ ან ჩვეულებრივ ქაღალდზე; როგორც გამონაკლისი, აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დასაშვებია უფრო დიდი ფორმატის გამოყენებაც, თუმცა ყველა A3 ფორმატზე დიდი ზომის ფორმატი უნდა ჩაიკეცოს A3 ფორმატის ზომამდე და ისე აიკინძოს განმარტებით ბარათთან ერთად.

10. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ზოგადი დებულებანი: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული შემდეგი სტილი.

სტატია:

გვარი ინიციალი, [გვარი] [ინიციალი] სრული სათაური – *ჟ რნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი* [ნომერი,] გვ. დასაწყისი-დასასრული.

მაგალითად: 1. Xie W., pu J., MacKerell A.D. Development of a Polarizable Intermolecular Potential Function (PIPF) for Liquid Amides and Alkanes. *J. Chem, Theory Comput.*, 2007, 3, 6, 1878-1889.

წიგნი:

ცალკეული გვერდების მითითებისას:

გვარი ინიციალი. [გვარი] [ინიციალი] სრული სათაური.

გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი] გვ. დასაწყისი-დასასრული.

მაგ.:

1. Bruice P. Organic Chemistry. New-York: Pearson Education, Inc., 2004, pp 45-123.

მთლიანი წიგნის მითითებისას:

გვარი ინიციალი, [გვარი] [ინიციალი] სრული სათაური.

გამოცემის ადგილი: გამომცემლობა, წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ.


1. Bruice P. Organic Chemistry. New-York: Pearson Education, Inc., 2004, 896 p.


ინფორმაცია გლობალური ქსელი:


ვებ-გვერდის დასახელება, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.


მაგალითად: 1. <http://patft.uspto.gov/netacgi/doi.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 05.02.2009.


სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკულ პლანშეტებზე განსათავსებელი
შტამპების ფორმები
 სხვადასხვა აკადემიური მიმართულების მიხედვით


	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი		
დეპარტამენტი	არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის)		
მიმართულება	სამოქალაქო და სამრეწველო შენობების ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი		
პროექტის დასახელება			
პროექტის ავტორი			ხელმოწერა
თემის ხელმძღვანელი			ხელმოწერა
შეფასება	ციფრი (სიტყვიერად) ქულა	წელი	2009

	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი		
დეპარტამენტი	არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის)		
მიმართულება	ურბანული დაგეგმარების		
პროექტის დასახელება			
პროექტის ავტორი			ხელმოწერა
თემის ხელმძღვანელი			ხელმოწერა
შეფასება	ციფრი (სიტყვიერად) ქულა	წელი	2009

	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი		
დეპარტამენტი	არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის)		
მიმართულება	არქიტექტურული გეგმარების		
პროექტის დასახელება			
პროექტის ავტორი			ხელმოწერა
თემის ხელმძღვანელი			ხელმოწერა
შეფასება	ციფრი (სიტყვიერად) ქულა	წელი	2009

	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზანის ფაკულტეტი		
დეპარტამენტი	არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის		
მიმართულება	არქიტექტურული გეგმარების საფუძვლების		
პროექტის დასახელება			
პროექტის ავტორი			ხელმოწერა
თემის ხელმძღვანელი			ხელმოწერა
შეფასება	ციფრი (სიტყვიერად) ქულა	წელი	2009

	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზანის ფაკულტეტი		
დეპარტამენტი	არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის		
მიმართულება	შენობა-ნაგებობათა არქიტექტურული კონსტრუქციების და არქიტექტურული ფიზიკის		
პროექტის დასახელება			
პროექტის ავტორი			ხელმოწერა
თემის ხელმძღვანელი			ხელმოწერა
შეფასება	ციფრი (სიტყვიერად) ქულა	წელი	2009

	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზანის ფაკულტეტი		
დეპარტამენტი	არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის		
მიმართულება	არქიტექტურამცოდნეობის (არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის ისტორიის და თეორიის)		
პროექტის დასახელება			
პროექტის ავტორი			ხელმოწერა
თემის ხელმძღვანელი			ხელმოწერა
შეფასება	ციფრი (სიტყვიერად) ქულა	წელი	2009

**ინჟინერინგის მაგისტრის საკვალიფიკაციო ნაშრომის გრაფიკული ნაწილის
შემადგენლობა სხვადასხვა მიმართულებისათვის**

მიმართულება: არქიტექტურული გეგმარება

ობიექტი: სხვადასხვა ტიპის შენობები და ნაგებობები, მათი კომპლექსები.

(იხ. ჩამონათვალი არქიტექტურული გეგმარების მიმართულებაზე)

პროექტის გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა:

1. სიტუაციური გეგმა მ. 1:200, 1:5000;
2. გენერალური გეგმა მ. 1:500
3. ობიექტის (კომპლექსის) გეგმები მ. 1:100, 1:200;
ნაჩვენები უნდა იყოს ღერძები, ღერძებს შორის
ზომები და მთლიანი ზომა, ექსპლიკაციაში უნდა
აღინიშნოს სათავსოთა დასახელება და ფართები.
4. ჭრილები (სახასიათო) არანაკლებ ორისა, მ. 1:100, 1:200;
ღერძების დატანით და მათ შორის ზომების ჩვენებით,
სართულების ნიშნულების აღნიშვნით.
5. პროექტში გამოყენებული კონსტრუქციული
გადაწყვეტების ამსახველი 2-3 სახასიათო კვანძი მ. 1:20 ან 1:10
6. ფასადები არანაკლებ ორისა. მ. 1:100, 1:200;
7. მაკეტი, შეთავსებული გენგეგმასთან. მ. 1:500;
8. შენობის (კომპლექსის) სხვადასხვა ხედების კომპიუტერული ვერსიები
(რენდერები).
9. ესკიზების, ჩანახატების, სამუშაო პროცესის ამსახველი გრაფიკული მასალის
წარმოდგენა, რომელიც ხელით უნდა იყოს შესრულებული, აუცილებელია.

მიმართულება: ურბანული დაგეგმარება

ობიექტი: ურბანული გარემოს ფორმირება, მისი ფუნქციონალურ-გეგმარებითი, არქიტექტურულ-მხატვრული, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით.

პროექტის გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა:

1. სიტუაციური გეგმა, მიმდებარე ქალაქური (სასოფლო) გარემოს სივრცით-ტერიტორიულ თავისებურებასთან მიმართებაში; მ 1:5000.
2. საყრდენი ანალიტიკური გეგმა - ძირითადი გეგმარებით-ფუნქციური, არქიტექტურულ-სივრცითი, კომპოზიციური თავისებურების ჩვენებით; მ 1:1000.
3. გენერალური გეგმა _ ზონირების, სატრანსპორტო და საქვეითო მოძრაობის, გეგმარებით-ფუნქციონალური და ვიზუალური კავშირების ძირითადი ქალაქმშენებლობითი პარამეტრების ჩვენებით;
4. განშლები, ვიზუალური ადქმის თავისებურების ამსახველი ფოტოები, ჩანახატები. დასაშვებია კომპიუტერული გრაფიკის გამოყენება.
5. არქიტექტურულ-მოცულობითი ობიექტის გენერალური გეგმა.
6. წინასაპროექტო კვლევის მასალები - შესაბამისი გრაფიკული ასახვით.
7. მიღებული შედეგების ეკონომიკური, ეკოლოგიური და მხატვრულ-ესთეტიკური შეფასება.
8. გენგეგმასთან შეთავსებული ვერტიკალური გეგმარების ნახაზი

მიმართულება : სამოქალაქო და სამრეწველო შენობების ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი

სამაგისტრო პროგრამა - შიგა სივრცის დიზაინი

ობიექტი: სამაგისტრო ნაშრომის საპროექტო ობიექტი შეიძლება იყოს არსებული ან საპროექტო სივრცის ნაწილი ან ელემენტები; სამაგისტრო ნაშრომის საპროექტო სამუშაოს საერთო მოცულობას ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

პროექტის გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა:

1. ობიექტის სივრცითი კონტექსტი (მ. 1:200, 1:100);
2. მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია; *
3. თემატური ძიების ამსახველი მასალები;
4. საპროექტო ობიექტის გეგმები (მ. 1:100, 1:50);
5. საპროექტო ობიექტის ჭრილები (მ. 1:100, 1:50);
6. საპროექტო ობიექტის ფასადები, განშლები (მ. 1:100, 1:50);
7. საპროექტო ობიექტის მოცულობითი ხედები (მ. 1:100, 1:50);
8. გამოყენებული მასალების და ელემენტების მახასიათებლები (ფერი, ფაქტურა, ტექნოლოგიური პროცესი და სხვა) (მ.1:10, 1:20);
9. სახასიათო 2–3 კვანძის მუშა ნახაზი

* აუცილებელია ხელით შესრულებული ესკიზების, ჩანახატების, სამუშაო პროცესის ამსახველი გრაფიკული მასალის წარმოდგენა.

მიმართულება : სამოქალაქო და სამრეწველო შენობების ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი

სამაგისტრო პროგრამა - ქალაქის დიზაინი

ობიექტი: სამაგისტრო ნაშრომის საპროექტო ობიექტი შეიძლება იყოს არსებული ან საპროექტო საქალაქო სივრცის ნაწილი ან ელემენტები; სამაგისტრო ნაშრომის საპროექტო სამუშაოს საერთო მოცულობას ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

პროექტის გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა:

1. ობიექტის სივრცითი კონტექსტი (მ. 1:500, 1:100);
2. სივრცით-ურბანული კონცეფცია; *
3. თემატური ძიების ამსახველი მასალები;
4. საპროექტო ობიექტის გეგმები (მ. 1:100, 1:50);
5. საპროექტო ობიექტის ჭრილები (მ. 1:100, 1:50);
6. საპროექტო ობიექტის ფასადები-განშლები (მ. 1:100, 1:50);
7. საპროექტო ობიექტის მოცულობითი ხედები (მ. 1:100, 1:50);
8. ცალკეული ელემენტების დიზაინერული გადაწყვეტა (ფერი, ფაქტურა, ტექტონიკა და სხვა) (მ.1:50, 1:20);
9. სახასიათო 2–3 კვანძის მუშა ნახაზი

* აუცილებელია ხელით შესრულებული ესკიზების, ჩანახატების, სამუშაო პროცესის ამსახველი გრაფიკული მასალის წარმოდგენა.

**მიმართულება : სამოქალაქო და სამრეწველო შენობების
ინტერიერი და არქიტექტურული გარემოს დიზაინი**

სამაგისტრო პროგრამები – სამოქალაქო შენობების ინტერიერი;
სამრეწველო შენობების ინტერიერი. /

ობიექტი: სამაგისტრო ნაშრომის საპროექტო ობიექტი შესაძლებელია იყოს
არსებული, დაპროექტებული ან დასაპროექტებელი სამოქალაქო ან
სამრეწველო დანიშნულების ობიექტის ინტერიერი.

პროექტის შემადგენლობა:

- | | |
|--|------------------|
| 1. ობიექტის მდებარეობის სიტუციური გეგმა | მ. 1:500 |
| 2. ობიექტის არსებული გეგმები | მ. 1:100 ან 1:50 |
| 3. ობიექტის არსებული ფასადები | მ. 1:100 ან 1:50 |
| 4. ობიექტის არსებული ჭრილები | მ. 1:100 ან 1:50 |
| 5. დასაპროექტებელი ობიექტის ფუნქციური ზონირების
ორგანიზებისა და ზონათაშორის ურთიერთკავშირების სქემები | მ. 1:100 ან 1:50 |
| 6. დასაპროექტებელი ობიექტის არქიტექტურულ-გეგმარებითი
გადაწყვეტა /გეგმები/ | მ. 1:100 ან 1:50 |
| 7. გეგმები ავეჯი განლაგების ჩვენებით | მ. 1:100 ან 1:50 |
| 8. დასაპროექტებელი ობიექტის იატაკის მოწყობის გეგმები | მ. 1:100 ან 1:50 |
| 9. დასაპროექტებელი ობიექტის ჭერის მოწყობის გეგმები
/განათების მოწყობის ჩვენებით/ | მ. 1:100 ან 1:50 |
| 10. დასაპროექტებელი ობიექტის კედლების განშლები | მ. 1:20 ან 1:25 |
| 11. დასაპროექტებელი ობიექტის ინტერიერის
მოცულობითი ხედები | მ. 1:50 ან 1:25 |
| 12. დასაპროექტებელი ობიექტის ინტერიერის დეტალების
მხატვრული გადაწყვეტა | მ. 1:10 ან 1:20 |

აუცილებელია: სამაგისტრო ნაშრომში გრაფიკულად წარმოდგენილი იყოს
მხატვრულ- არქიტექტურული იდეის განვითარების პროცესის ამსახველი
ესკიზები, ჩანახატები, რომელიც ხელით უნდა იყოს შესრულებული.

მიმართულება: არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები,

1. არქიტექტურული დაპროექტების მენეჯმენტი

ობიექტი: ნებისმიერი მოცულობითი ობიექტი

პროექტის გრაფიკული ნაწილის სარეკომენდაციო შემადგენლობა:

1. სიტუაციური გეგმა	მ 1:10000	1:5000
2. გენერალური გეგმა	მ 1:1000	1:500
3. სართულების გეგმები	მ 1:100	1:50
4. ჭრილები	მ 1:100	1:50
5. ფასადები	მ 1:100	1:50
6. ფრაგმენტი/ები	მ 1:10	1:20
7. არსებული სივრცის ამსახველი მასალა		

2. არქიტექტურული დაპროექტების მეთოდოლოგიური საფუძვლები

ობიექტი: ნებისმიერი მოცულობითი ობიექტი

პროექტის გრაფიკული ნაწილის სარეკომენდაციო შემადგენლობა:

1. სიტუაციური გეგმა	მ 1:10000	1:5000
2. გენერალური გეგმა	მ 1:1000	1:500
3. სართულების გეგმები	მ 1:100	1:50
4. ჭრილები	მ 1:100	1:50
5. ფასადები	მ 1:100	1:50
6. ფრაგმენტი/ები	მ 1:10	1:20
7. არსებული სივრცის ამსახველი მასალა		
8. სივრცისა და ობიექტის მიმართების ხაზგასმა		
9. გენგეგმის კომპოზიცია და მისი მახასიათებლები		
10. ნაკვეთის გეგმის კომპოზიციური გადაწყვეტა		
11. მოცულობითი ობიექტის ფასადების კომპოზიცია, დანაწევრების მასშტაბი		
12. ფასადების და ფრაგმენტების კომპოზიციური და ფერადოვანი გადაწყვეტა		
13. ობიექტის გარე და შიგა განათების წარმოჩენა		

მიმართულება: არქიტექტურული ფიზიკა, სამოქალაქო და სამრწველო
შენობა ნაგებობების არქიტექტურული კონსტრუქციები

ობიექტი: სხვადასხვა ტიპის შენობები და ნაგებობები, მათი კომპლექსები.

(იხ. ჩამონათვალი შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელთან)

პროექტის გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა:

1. სიტუაციური გეგმა მ. 1:200, 1:5000;
2. გენერალური გეგმა მ. 1:500
3. ობიექტის (კომპლექსის) გეგმები მ. 1:100, 1:200;
ნაჩვენები უნდა იყოს ღერძები, ღერძებს შორის
ზომები და მთლიანი ზომა, ექსპლიკაციაში უნდა
აღინიშნოს სათავსოთა დასახელება და ფართობი.
4. ჭრილები (სახასიათო) არანაკლებ ორისა, მ. 1:100, 1:200;
ღერძების დატანით და მათ შორის ზომების ჩვენებით,
სართულების ნიშნულების აღნიშვნით.
5. პროექტში გამოყენებული კონსტრუქციული
გადაწყვეტების ამსახველი 4-5 სახასიათო კვანძი მ. 1:20 ან 1:10
6. ფასადები არანაკლებ ორისა. მ. 1:100, 1:200;
7. მაკეტი, შეთავსებული გენგეგმასთან. მ. 1:500;
8. შენობის (კომპლექსის) სხვადასხვა ხედების კომპიუტერული ვერსიები
(რენდერები).
10. ესკიზების, ჩანახატების, სამუშაო პროცესის ამსახველი გრაფიკული მასალის
წარმოდგენა, რომელიც ხელით უნდა იყოს შესრულებული, აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (საბოლოო ვარიანტი) 28.03.2007წ.
2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება No.4 "მაგისტრატურის შესახებ"
3. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
4. სტუ-ს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია.
5. UNESCO-UIA-ს არქიტექტურული განათლების ქარტია შესწორებული ვერსია, 2005 წელი

სარჩევი

1. შესავალი -----	3
2. მოთხოვნები “მეცნიერების მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი ნაშრომის მიმართ -----	5
3. მოთხოვნები “ინჟინერინგის მაგისტრის” აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი ნაშრომის მიმართ -----	6
4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა -----	7
5. დანართები: -----	8
დანართი 1 – სტუ–ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N 4 მაგისტრატურის შესახებ -----	9
დანართი 2 – მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია -----	19
დანართი 3 – სამაგისტრო ნაშრომის ციფრული ვერსიისადმი წყენებული მოთხოვნები -----	26
დანართი 4 – ბუკლეტის ფორმის ციფრული ვერსია -----	27
დანართი 5 – მოთხოვნები სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის მიერ წარმოსადგენი დასკვნის მიმართ -----	28
დანართი 6 – სამახსოვრო მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის რეცენზენტს -----	30
დანართი 7 – სამაგისტრო ნაშრომის განმარტებითი ბარათის გაფორმება (ინჟინერინგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის სფეროში) -----	32
დანართი 8 – სამაგისტრო ნაშრომის გრაფიკულ პლანშეტებზე განსათავსებელი შტამპების ფორმები სხვადასხვა აკადემიური მიმართულების მიხედვით -----	41
დანართი 9 – ინჟინერინგის მაგისტრის საკვალიფიკაციო ნაშრომის გრაფიკული ნაწილის შემადგენლობა სხვადასხვა მიმართულებისათვის -----	43
6. გამოყენებული ლიტერატურა -----	50
7. სარჩევი -----	51

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 26.02.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.03.2009. ქალაქის
ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3. ტირაჟი 150 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent